KA030191146374718

№ 01-11607 **23 / მაისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა ბოხუას

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 – 30 მაისს ესტონეთში ქ. ტალინში ესტონეთის პოლიტიკის კვლევების ცენტრისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, დაგეგმილია პროექტი „საჯარო მოხელეთა სწავლების ერთიანი სისტემის ხელშეწყობა საქართველოში“, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო მოხელეთა სწავლების საჭიროებების იდენტიფიცირების ერთიანი ფორმის შემუშავებასა და შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში ინტეგრირებას.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ეფექტურობის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნატო დოლიძე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯებს (მგზავრობა და სასტუმრო) ანაზღაურებს ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდი.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნატო დოლიძისთვის მიმდინარე წლის 27 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია